

მსოფლიოს ბიომრავალფეროვნება და საქართველო

კილაძე ნ., მანგალაძე ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: სამეცნიერო ლიტერატურაში „ბიოლოგიური მრავალფეროვნება“ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება. 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის და განვითარების კონფერენციაზე, მიღებული იქნა კონვენცია „ბიომრავალფეროვნების შესახებ“. მას საქართველო შეუერთდა 1994 წელს. ამჟამად კონვენცია აერთიანებს 180 სახელმწიფოს. კონვენციის მიხედვით ყველა სახელმწიფო ვალდებულია ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის შეიმუშაოს ეროვნული პოლიტიკა და გაატაროს ეფექტური ღონისძიებები. ბიომრავალფეროვნება ამა თუ იმ ქვეყნის ბიოსფეროს მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.

საკვანძო სიტყვები: ბიოლოგიური მრავალფეროვნება.

ბიომრავალფეროვნება სამ-ლოკალურ, რაიონულ და რეგიონალურ დონეზე განიხილება. ბიომრავალფეროვნების დასადგენად ითვლიან ცოცხალი ორგანიზმების სახეობათა რაოდენობას. სახეობათა რაოდენობა უშუალო კავშირშია, როგორც გეოგრაფიულ ფაქტორებთან, ისე ქვეყნის სიდიდესთან. იმისათვის, რომ ქვეყნის სიდიდის ფაქტორი გამორიცხოს, ბიომრავალფეროვნებას ანგარიშობენ ქვეყნის ყოველ 10 ათას კვ კმ-ზე. მიახლოებითი მონაცემებით, მსოფლიოში 12-13 მილიონი სახეობაა, რომლის მხოლოდ 1/10-ია შესწავლილი. შედარებით კარგადაა შესწავლილი უმაღლესი მცენარეების და ხერხემლიანების ბიომრავალფეროვნება. მათი საერთო რაოდენობა 320 ათას აღემატება, რომლის დიდი ნაწილი აღწერილია.

მსოფლიოში უმაღლეს მცენარეთა საერთო რაოდენობა 270 ათასია, რომლის მიხედვით, პირველი ხუთეულში შედის: ბრაზილია, კოლუმბია, ჩინეთი, ინდონეზია და მექსიკა. მათი ყველაზე მცირე რაოდენობაა ისლანდიასა და კუვეიტში. ამრიგად, მცენარეთა ბიომრავალფეროვნება უკავშირდება ბუნებრივ პირობებს - სითბოს და ტენის განაწილებას. იმ ქვეყნებში სადაც ნოტიო ტროპიკული ლანდშაფტებია, ბიომრავალფეროვნება მაღალია, ხოლო არიდულ და პოლარულ რეგიონებში - უმნიშვნელო. საქართველო უმაღლეს მცენარეთა სახეობების საერთო რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში 63-ე ადგილზეა, ხოლო ევროპაში მე-5 ზე, ჩვენ ჩამოვრჩებით საბერძნეთს, იტალიას, საფრანგეთს და ესპანეთს. საქართველოში მცენარეების შესწავლას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

მსოფლიოში ძუძუმწოვრების სახეობათა საერთო რაოდენობით პირველ ადგილზეა მექსიკა - 450 სახეობა, შემდეგ ინდონეზია, აშშ, კონგო, ბრაზილია, კენია და უგანდა. ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში მე-80, ხოლო ევროპაში პირველ ადგილზეა. მსოფლიოში ფრინველთა საერთო რაოდენობით გამოირჩევა კოლუმბია, პერუ, ინდონეზია, ბრაზილია და ეკვადორი. საქართველოში ფრინველთა 322 სახეობაა, რომლის მიხედვით იგი მსოფლიოში 71-ე, ხოლო ევროპაში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ქვეწარმავლების რაოდენობით მსოფლიოში პირველობას არავის უთმობს ავსტრალია, სადაც მსოფლიოს 1/8-ია თავმოყრილი. ამ მაჩვენებლით ევროპაში საქართველოს აზერბაიჯანი და ესპანეთი უსწრებს. მტკნარი წყლის

თევზების სახეობათა რაოდენობით (კმ²) გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატები. შემდეგ მოდის ეკვადორი და ჩინეთი. საქართველოს ამ მაჩვენებლით 39-ე ადგილი უკავია. ცხოველთა სამყაროს სახეობათა საერთო რაოდენობით მსოფლიოში გამოირჩევა ბრაზილია, ხოლო ევროპაში - საქართველო.

ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი მაჩვენებელია ენდემური სახეობების წილი მცენარეებისა და ცხოველების საერთო რაოდენობაში. ენდემური მაჩვენებლით გამოირჩევა ავსტრალია, სადაც მცენარეთა და ცხოველთა უდიდესი ნაწილი ადგილობრივია. შემდეგ მოდის ახალი ზელანდია, მადაგასკარი, ინდონეზია, ფიჯის კუნძულები და კუბა. ენდემიზმის მაჩვენებლით 8%-ით საქართველო მსოფლიოში 56-ე ადგილზეა. ევროპაში კი მეოთხე ესპანეთის, საფრანგეთის და იტალიის შემდეგ. საქართველოს ფლორის ენდემებით გამორჩეული ქვეყანაა კავკასიაში.

ტერიტორიის სიდიდე დიდ გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე. ამიტომ დიდი და მცირე ტერიტორიის მქონე ქვეყნების ბიომრავალფეროვნების შედარებას ხშირად აზრი არ აქვს. ქვეყნის ბიომრავალფეროვნების ინდექსს უწოდებენ ისეთ ფაქტორს (ABI), რომლის საშუალებით ხდება ცალკეული ქვეყნების ბიომრავალფეროვნების ეთრმანეთთან შედარება. აქტიური ბიომრავალფეროვნების ინდექსის გამოთვლისას უმაღლესი მცენარეების, მუშუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების და მტკნარი წყლის თევზების რაოდენობა იყოფა ქვეყნის ფართობზე და ამ მაჩვენებელს ემატება ამ ქვეყანაში არსებულ ენდემურ სახეობათა რიცხვი. მსოფლიოს აქტუალურ ბიომრავალფეროვნების საშუალო ინდექსი არის 2700.

ბიომრავალფეროვნების მიხედვით მსოფლიოში ლიდერობს ლათინური ამერიკის ქვეყნები, ხოლო ეკოსისტემებს შორის გამოირჩევა ტროპიკული ტყეები. ამ ტყეებს ჩვენი პლანეტის ხმელეთის მხოლოდ 8% უჭირავს, თუმცა აქ თავმოყრილია სახეობების რაოდენობის 90%. აქტიური ბიომრავალფეროვნების ინდექსის (2728) მიხედვით საქართველო მსოფლიოში 36-ე, ხოლო ევროპაში პირველ ადგილზეა. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას უდიდესი ეკოლოგიური, ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. არაერთი ცოცხალი სახეობა გაქრობის საშიშროების წინაშე დგას, რის მიზეზიც მოსახლეობის ზრდა, ბუნებრივი რესურსების გამოყენებას დიდი მასშტაბები და სამეურნეო საქმიანობა საზოგადოების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა პირდაპირ კავშირშია ბიომრავალფეროვნებასთან. ბიომრავალფეროვნება ასევე უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობას გენეტიკური, ხოლო მოსახლეობას - ბიოლოგიური რესურსებით.

ლიტერატურა

1. ქაჯაია გ. ბიოსფერო დღეს და მომავალში გამოიყენება ინდექსი. // თბ. 2011.
2. სუპატაშვილი გ. ქაჯაია გ. გარემო და ადამიანი. // თსუ 2001.
3. გეგეჭკორი ა. ბიოგეოგრაფია, დედამიწის ბიომები. // თსუ, 2003.

WORLD BIODIVERSITY AND GEORGIA

Kiladze N., Mangaladze N.

Summary: Ecological problems of reduced biodiversity. Diminishing the ecosystems different species of plants and animals known as the loss of biodiversity.

Socio-economic factors causes the danger for biodiversity, to it is necessary to establish the connection between those factors that causes danger, problems in biodiversity, and how do they act at different levels.

Key words: Biological diversity.